ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №1313192

ნომერი: AR1161455

თარიღი : 13.09.2013

გაცემის თარიღი : 06.06.2014

გაცნობის თარიღი : 02.09.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საირმის გორა , ნაკვეთი 25/091 / ქალაქი თბილისი , საირმის გორა , ნაკვეთი 25/092 / ქალაქი თბილისი , საირმის გორა , (ნაკვეთი N56 და N57) / ქალაქი თბილისი , საირმის გორა , (ნაკვეთი N 028/082) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირინა კილაძე პ/ნ 01024002903
- საირმის გორა 25/099

ორგანიზაცია:
- შპს "ტურელიტ-გრუპი" კოდი: 404979813

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 798248
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 25.07.2013

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საცხოვრებელი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ირინა ბალავაძე
- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "სტუდია არსი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205210136

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "ტურელიტ-გრუპი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404979813
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ირინა კილაძე; აკიფ ქერიმოვი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024002903; 01012001623

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 4219.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 2129.1
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 17885.2
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 9059.2
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 1693.9
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1611.2
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 1763.2
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 3627.2
- .აუზის ფართობი (კვ.მ).: 130.5
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 65053.1
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 40508.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 24544.3
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 42.85
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 32.05
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 10.8
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1526.8 კვ.მ, კ1-0.4
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 11512 კვ.მ, კ2-2.7
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1529 კვ.მ, კ3-0.4

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 13 სექტემბრის #AR1161455 განცხადებით სამსახურს მომართეს შპს „ტურელიტ გრუპის“ დირექტორებმა ირინა კილაძემ და აკიფ ქემიროვმა და მოითხოვეს ქ. თბილისში, საირმის გორა, ნაკვეთი 25/091 / ქალაქი თბილისი, საირმის გორა, ნაკვეთი 25/092 /ქალაქი თბილისი, საირმის გორა, (ნაკვეთი N56 და N57) / ქალაქი თბილისი, საირმის გორა, (ნაკვეთი N028/082), შპს"ტურელიტ-გრუპი"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.10.15.025.093) საცხოვრებელი კომპლექსის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა.

სამსახურის 2013 წლის 21 ოქტომბრის #956398 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, თუმცა ამავე აქტით დაევალა დამკვეთს 3 (სამი) თვის ვადაში იმ საკადასტრო ერთეულების მესაკუთრეთა თანხმობის წარმოდგენა, რომლებზე გავლითაც შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი ითვალისწინებს შევარდენიძის ქუჩიდან სამშენებლო ობიექტამდე მისასვლელი გზების მოწყობას.

2014 წლის 10 იანვარს განმცხადებლების მიერ 2013 წლის 21 ოქტომბრის #956398 ბრძანებით განსაზღვრული პირობის შესრულების მიზნით წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია თუმცა არასრული სახით. 2014 წლის 7 მარტის #1153229 ბრძანებით კვლავ განესაზღვრათ 3 (სამი) თვიანი ვადა იმ საკადასტრო ერთეულების მესაკუთრეთა თანხმობის წარმოსადგენად, რომელებზე გავლითაც შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი ითვალისწინებს შევარდენიძის ქუჩიდან სამშენებლო ობიექტამდე მისასვლელი გზების მოწყობას.

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 05.21.2014 წ NAR1161455 განცხადებით მომართა მოქ. ირინა კილაძემ (ასევე ვინაიდან პირობის შესრულება ითვალისწინებს პროექტის კორექტირებას, ამავდროულად 30.05.2014წ. NAR1224489 განცხადებით არქიტექტურის სამსახურში შემოსულია კორექტირებული არქიტექტურული პროექტი) წარმოადგინა კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც ითვალისწინებს შევარდენიძის ქუჩის მხარეს მისასვლელი გზების მოწყობას. ასევე ავტოფარეხების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია,

რომელზედაც ეწყობა მისასვლელი გზები შევარდენიძის ქუჩის მხრიდან. წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მოქ. ირინა კილაძემ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მითითება შეასრულა დროულად. წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 24.03.09 წლის №57 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და უნდა დაერთოს სამშენებლო დოკუმენტს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

## გადაწყვეტილება

1. შესრულებულად ჩაეთვალოს მოქ. ირინა კილაძის ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07.03.2014წ №1153229 ბრძანების მე-6 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.
2. 05.21.2014 წ №AR1161455 განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის სამშენებლო დოკუმენტის განუყოფელი ნაწილი და განხილულ იქნას მასთან ერთად.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07.03.2014წ №1153229 ბრძანებასთან ერთად.
4. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს დამკვეთს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
5. დაევალოს დამკვეთს: განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტებისთვის გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელი გადახდილ იქნას წარმოდგენილი გრაფიკის შესაბამისად და არაუგვიანეს ექსპლუატაციაში მიღებამდე;
6. ამ ბრძანების მე-5 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში დამკვეთს დაეკისროს პასუხისმგებლობა მოქმედი კანდონმდებლობის შესაბამისად.

---

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.